საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოჭლამაზაშვილი თამაზ (ექვთიმე) შაქროს ძე

თ. კოჭლამაზაშვილი

კოჭლამაზაშვილი თამაზ (ექვთიმე) შაქროს ძე (დ. 22. II. 1950, ქვემო ბოდბე, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი), ფილოლოგი, თეოლოგი. 1973 დაამთავრა სპი ელექტრონულ-ციფრული მანქანების სპეციალობით და თბილ. მე-4 მუს. სასწავლებელი; 1976 – მცხეთის სას. სემინარია; 1994 – ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი) ფილოლ. ფაკ-ტი. 1977–83 იყო საქართვ. ეკლესიის მღვდელმსახური. 1994–2006 მუშაობდა თბილ. სახელმწ. პედ. უნ-ტში; 2006-იდან – ილიას სახელმწ. უნ-ტში (სრული პროფესორი); 2019 მიენიჭა ემერიტუსის წოდება. 2010-იდან – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის უფროსი მეცნ. თანამშრომელია; 2022-იდან – ამავე ცენტრის სამეცნ. ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტ-რის განყ-ბის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფეროებია ძვ. ქართ. თარგმნითი ლიტ-რა, ქართ.- ბიზანტ. ლიტ. ურთიერთობები, პატრისტიკა, კოდიკოლოგია, ლექსიკოლოგია, ეპიგრაფიკა, ჰიმნოგრაფია, ეთნოლოგია, ლიტურგიკა. კ-მა გამოსცა გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურის, მაქსიმე აღმსარებლისა და სხვ. ავტორთა თხზულებების ძვ. ქართ. თარგმანების კრიტ. ტექსტები, გამოკვლევებისა და ლექსიკონების დართვით. 2008-იდან გამოსცემს ყოველწლიურ სამეცნ. კრებულს „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“.

ლიტ.: დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბ., 2002; ევაგრე პონტოელის Antirrhetikos-ის ძველი ქართული თარგმანი, თბ., 2019. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, თბ., 2003; სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა

თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, ტ. 1-3, თბ., 2000-2011; ცხოვრება წმიდა გიორგი მთაწმიდელისა, თბ., 2016; ცხოვრება წმიდათა მამათა იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელთა, თბ., 2016; წმიდა ეფრემ ასური, სწავლანი, ქართული ვერსია, ტ. 1, თბ., 2015;

ი. აბაშიძე